საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 53
27/09/2019

53-07-4-201909271628

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №53
2019 წლის 27 სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. განკარგულების პირველი მუხლის ,,ბ“ პუნქტით დამტკიცებული ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“ დანართი N2 ჩამოყალიბდეს დანართი N2-ის შესაბამისად;

2. განკარგულების პირველი მუხლის ,,დ“ პუნქტით დამტკიცებული ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა“ დანართი N4 ჩამოყალიბდეს დანართი N4-ის შესაბამისად;

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ვლადიმერ ნანაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი N2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

№	ავტომობილის მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	ავტომობილის ფერი	ავტომობილის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი
1	VAZ 2107	1999	მწვანე8/8	სედანი	MAC002
2	OPEL VECTRA	1989	ლურჯი	ჰეტჩბექი	LEL 272
3	HONDA CR-V	2000	მწვანე 7/8	მსუბუქი მაღალი გამავლობის	HPH211

დანართი N4

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა

№	ავტომობილის მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	ავტომობილის ფერი	ავტომობილის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)
1	VAZ 2107	1999	მწვანე8/8	სედანი	MAC002	1200
2	OPEL VECTRA	1989	ლურჯი	ჰეტჩბექი	LEL 272	200
3	HONDA CR-V	2000	მწვანე 7/8	მსუბუქი მაღალი გამავლობის	HPH211	4500